

# ISET

International School of Economics at TSU  
Policy Institute

ივნისი  
2022



## ელექტოენერგიის ბაზრის მიმოხილვა

## ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

## ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

### აკტორები:

ნორბერტო პინიატი

უფროსი ეკონომისტი



n.pignatti@iset.ge

გურამ ლობჯანიძე

მკვლევარი



guram.lobzhanidze@iset.ge

ერეკლე შუბითიძე

მკვლევარი



erekle.shubitidze@iset.ge

## მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2022 წლის აპრილში ელექტროენერგიის გამომუშავება წლიურად 36%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი 4%-ით გაიზარდა.
- ელექტროენერგიის მოხმარება წლიურად 10%-ით გაიზარდა, ხოლო თვიურად – 14%-ით შემცირდა.
- მოხმარებამ გამომუშავებას 39 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც აპრილის თვის სრული წარმოების 3%-ია.
- წლიური იმპორტი 73%-ით შემცირდა.
- იმპორტში მთავარი პარტნიორი ქვეყანა რუსეთი იყო.
- რუსეთიდან იმპორტის ფასი ერთ კილოვატსაათზე 18.48 თეთრია, რაც საკმაოდ მაღალ ფასს წარმოადგენს, როგორც წლიურ (40-ჯერ გაიზარდა), ასევე თვიურ (2.5-ჯერ გაიზარდა) ჯრილში. ეს ზრდა დაკავშირებულია 2021 წლის აპრილსა და 2022 წლის მარტში არსებ უღი ქალიან დაბალი ფასებით.
- შედეგად, იმპორტის საშუალო შენონილი ფასი ლარში წლიურად 218%-ით, ხოლო თვიურად – 129%-ით გაიზარდა.
- 2022 წლის აპრილში საქართველოს მთავარი საექსპორტო პარტნიორი თურქეთი იყო, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ექსპორტი საკმაოდ მცირე იყო.
- ექსპორტის საშუალო შენონილი ფასი 10.18 თეთრია იყო.
- 2022 წლის აპრილში, საქართველოს ელექტროენერგიის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ზედიზედ მეოთხედ ჩამოცდა და 1468-ს მიაღწია. ეს უფრო მაღალი მაჩვენებელია, ვიდრე 2021 წლის აპრილში ინდექსის მნიშვნელობა (706) და უფრო დაბალი იყო 2022 წლის მარტის (1499) მნიშვნელობებთან შედარებით.
- საქართველოს ელექტროენერგიის მოხმარების ბაზრის HHI მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2020 წლის სექტემბერი (ინდექსის მნიშვნელობა – 2522) ბოლო თვე იყო, რომლის განმავლობაშიც ინდექსის მნიშვნელობა მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ასცდა. მას შემდეგ ინდექსის ტრენდი მუდმილად დაბალი გახდა და 2022 წლის აპრილში ინდექსის მნიშვნელობამ 1777 შეადგინა.

## შემოკლებები

მლნ

კვტსთ

ჰესი

თესი

HHI

თელმიკო

ეკ ჯორჯია

მილიონი

კილოვატსაათი

ჰიდროელექტროსადგური

თბოელექტროსადგური

ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი

თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია

ეკ ჯორჯია მინოდებისთვის


## წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2022 წლის ივნისში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,485 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 12%-იან ზრდას წარმოადგენს (2021 წლის ივნისში სრული წარმოება 1,323 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების წლიური ზრდა ჰიდროელექტროსადგურებისა (+12%) და თბოელექტროსადგურების (+81%) გამომუშავების ზრდამ განაპირობა, მაშინ როცა ქარის ელექტროსადგურების გამომუშავება შემცირდა (-23%).

თვიურ ჭრილში, წარმოება, დაახლოებით, 2%-ით გაიზარდა (2022 წლის მაისში სრული წარმოება 1,461 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (+2%) ზრდამ გამოიწვია. ქარის ელექტროსადგურის წარმოება კი, შემცირდა (-28%). 2022 წლის მაისში თბოელექტროსადგურებს ელექტროენერგია არ გამოუმუშავებიათ.

ელექტროენერგიის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1,082 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (1%-ით ნაკლები 2021 წლის ივნისთან შედარებით და, 6%-ით ნაკლები 2022 წლის მაისთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2022 წლის ივნისში ენერგიის წარმოებამ მოხმარებას 403 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 27%-ს შეადგენდა (2021 წლის ივნისში წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 233 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში სრული წარმოების დაახლოებით 18%-ს გაუტოლდა).

**დიაგრამა 1** - ელექტროენერგიის მოხმარება და გამომუშავება




წყარო: ESCO

წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2022 წლის ივნისში ჰესების მიერ ელექტროენერგიის წარმოება 1,475 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 99.4%), ქარის ენერგიის

წარმოება 6 მილიონ კილოვატსაათს (სრული გამოიმუშავების 0.4%), ხოლო თბოელექტროსადგურების (თესი) გამოიმუშავება კი 3 მილიონ კილოვატსაათს, გაუტოლდა (სრული გამოიმუშავების 0.2%) (დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2**


- ელექტროენერგიის გამოიმუშავება წყაროების მიხედვით



ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერგიის 57% გამოიმუშავეს (835 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, 35% (522 მილიონი კილოვატსაათი) და 8% (118 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).

**დიაგრამა 3**


- ჰიდროელექტროსადგურის გამოიმუშავება ტიპის მიხედვით



თბოელექტროსადგურებს შორის, 100% თბილსრესმა გამოიმუშავა და ამან სრული გამომუშავების 0.2% შეადგინა (დიაგრამა 4).

**დიაგრამა 4**

- დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში




წყარო: ESCO

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერგიას, ვარდნილჰესმა 113 მილიონი კილოვატსაათი ენერგია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერგიის 14% და სრული წარმოების 8%). ენგურჰესმა 605 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერგიის 72%-ს და სრული წარმოების 41%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).

**დიაგრამა 5**


- ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ESCO

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2021 წლის ივნისთან შედარებით 12%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).

**დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)**



წყარო: ESCO


ელექტროენერგიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია<sup>1</sup> (31% – 336 მილიონი კილოვატსაათი), აფხაზეთი (17% – 184 მილიონი კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო<sup>2</sup> (22% – 236 მილიონი კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (30% – 324 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). წლიური მოთხოვნა თელასისა და პირდაპირი მომხმარებლებისგან, შესაბამისად, 2%-ით და 12%-ით გაიზარდა<sup>3</sup>, ხოლო ენერგო-პრო ჯორჯიასა და აფხაზეთისგან, შესაბამისად, 7%-ით და 11%-ით შემცირდა. საერთო ჯამში, 2022 წლის ივნისში ელექტროენერგიის მოხმარებამ წლიურად 1%-ით ნაკლები შეადგინა 2021 წლის ივნისის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

<sup>1</sup> ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა. 2021 წლის ივლისიდან კი ელექტროენერგიის მიწოდებაზე ეპ ჯორჯიას პასუხისმგებელი.

<sup>2</sup> 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერგიის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები - განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები - საყოფაცხოვრებო ფართებისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები - საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერგიას, ხოლო EP Georgia და თელმიკო მათ გამოეყენენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.


<sup>3</sup> პირდაპირი მომხმარებლების მოთხოვნის ზრდა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ [ახალი რეგულაციის](#) მიხედვით (მიღებული 2020 წლის აპრილში და ძალაში შესული 2021 წლის ივლისში), კომპანიები, რომლებიც თვეში მოიხმარენ 0.4 მილიონ კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერგიას, ვალდებული არიან ელექტროენერგია პირდაპირ შეიძინონ

**დიაგრამა 7** - ელექტროენერგიის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ESCO

**დიაგრამა 8** - ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ESCO

2022 წლის ივნისში საქართველომ 1 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის იმპორტი განახორციელა (2021 წლის ივნისის 5 მილიონ კილოვატსაათთან შედარებით). ელექტროენერგიის 100% რუსეთიდან იქნა იმპორტირებული (დიაგრამა 9). 2022 წლის ივნისში საქართველომ 351 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ექსპორტი განახორციელა, საიდანაც 84% თურქეთში გავიდა, 16% სომხეთში (2021 წლის ივნისში ექსპორტი 195 მილიონი კილოვატსაათი+ იყო) (დიაგრამა 10). რუსეთსა და აზერბაიჯანში ექსპორტზე გატანილი ელექტროენერგია უმნიშვნელოდ მცირე იყო. 2022 წლის ივნისში, განხორციელდა 71 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში და 21 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი რუსეთიდან თურქეთში (2021 წლის ივნისში განხორციელდა 35 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში).

2021 წლის ივნისთან შედარებით, იმპორტი 87%-ით შემცირდა, ხოლო ექსპორტი 80%-ით გაიზარდა.


**დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით**



წყარო: ESCO




დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით



წყარო: ESCO

2022 წლის ივნისში ელექტროენერგიის იმპორტი 94%-ით შემცირდა 2022 წლის მაისის მაჩვენებელთან შედარებით (დიაგრამა 11). ელექტროენერგიის ექსპორტი 30%-ით გაიზარდა 2022 წლის მაისთან შედარებით (დიაგრამა 12). 2022 წლის ივნისი ზედიზედ მეორე თვეა, რომელიც გამომუშავება-მოხმარების სიჭარბით ხასიათდება.


დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ESCO

დიაგრამა 12

- ექსპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ESCO


## 1. საბაზრო ოპერაციები

2022 წლის ივნისში საბალანსო ელექტროენერგიის შეწონილი საშუალო ფასი იყო 14.38 თეთრი კილოვატსაათზე, რაც წლიური ზრდის 3%-ს შეესაბამება 2021 წლის ივნისთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ ფასს დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის, ის 1.86 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2021 წლის ივნისის მონაცემის იდენტურია (დიაგრამა 13).

დიაგრამა 13

- საბალანსო ელექტროენერგიის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული


ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ESCO

2022 წლის ივნისში, გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით 15.80 მილიონი ლარი იყო, რაც წარმოადგენს 10%-იან კლებას 2020 წლის ივნისთან შედარებით. 2021 წლის ივნისის მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი (დიაგრამა 14).


**დიაგრამა 14 - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი**



წყარო: ESCO

2022 წლის ივნისში ელექტროენერგიის იმპორტის საშუალო შეწონილი ფასი წლიურად აშშ დოლარში 91%-ითა და ლარში 92%-ით შემცირდა (2021 წლის ივნისში არსებული 7.18 ცენტიდან ან 22.69 თეთრიდან კილოვატსაათზე – 0.64 ცენტამდე ან 1.89 თეთრამდე კილოვატსაათზე 2022 წლის ივნისში – დიაგრამა 15). იმპორტის საშუალო შეწონილი ფასი თვითურად აშშ დოლარსა და ლარში 90%-ით შემცირდა (2022 წლის მაისში ფასი 6.50 ცენტს ან 19.30 თეთრს შეადგენდა ერთ კილოვატსაათზე). 2022 წლის ივნისში ელექტროენერგიის ექსპორტის საშუალო შეწონილი ფასი წლიურად აშშ დოლარში 164%-ით გაიზარდა, ხოლო ლარში – დაახლოებით 147%-ით (2021 წლის ივნისში არსებული 3.23 ცენტიდან ან 10.22 თეთრიდან კილოვატსაათზე – 8.55 ცენტამდე ან 25.27 თეთრამდე კილოვატსაათზე 2022 წლის ივნისში – დიაგრამა 15). ექსპორტის საშუალო შეწონილი ფასი თვითურად 10%-ით შემცირდა აშშ დოლარსა და ლარში (2022 წლის მაისში ფასი 9.47 ცენტს ან 28.13 თეთრს შეადგენდა ერთ კილოვატსაათზე).


**დიაგრამა 15 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები**



წყარო: ESCO


2022 წლის ივნისში ელექტროენერგიის იმპორტის ფასი კილოვატსაათზე რუსეთიდან 0.64 ცენტს ან 1.89 თეთრს შეადგენდა (დიაგრამა 16).

**დიაგრამა 16 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით**



2022 წლის ივნისში ელექტროენერგიის ექპორტის ფასი აზერბაიჯანში 5.75 ცენტს ან 16.99 თეთრს, სომხეთში 4.00 ცენტს, ან 11.82 თეთრს, რუსეთში 3.50 ცენტრს, ან 10.34 თეთრს, ხოლო თურქეთში - 9.39 ცენტს, ან 27.74 თეთრს შეადგენდა (დიაგრამა 17).


**დიაგრამა 17 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით**



## 2. ბაზრის კონცენტრაცია

დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერგიის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2022 წლის ივნისში საქართველოს ელექტროენერგიის გამომუშავების ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული გახდა და HHI ინდექსი 2,880 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 18). აღნიშნული კი 2021 წლის ივნისის მონაცემზე (HHI 3,884 ერთეული) დაბალი და 2022 წლის მაისის მაჩვენებელზე (HHI 2,181 ერთეული) მაღალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2022 წლის ივნისში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 1,840 ერთეულს გაუტოლდა (2021 წლის ივნისის მაჩვენებელზე (2,023) დაბალი და 2022 წლის მაისის მაჩვენებელზე (1,767) მაღალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება. მას შემდეგ კი, მოხმარების საბაზრო კონცენტრაციის მხრივ, წლიურად დადებითი ტენდენცია აღინიშნება (დიაგრამა 19).


დიაგრამა 18 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერგიის გამომუშავებისთვის



წყარო: ESCO

დიაგრამა 19

- ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერგიის მოხმარებისთვის



წყარო: ESCO